ბოლო წუთებამდე

ტაშკენტი. “პახტაკორის” სტადიონი. 4 ივლისი.

“პახტაკორი” (ტაშკენტი) _ “დინამო” (თბილისი) 0:0.

“პახტაკორი”: პშენიჩნიკოვი, დოცენკო, შტერნი, ნაუმენკო, სუიუნოვი, ინოიატოვი, იუნუსოვი, რახმატულაევი, ბექთაშევი, კრასნიცკი, იბრაგიმოვი.

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ჭელიძე, კუტივაძე, დათუნაშვილი (ასათიანი), იამანიძე, ნოდია, მესხი.

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

დუბლიორები _ 0:0.

ტაშკენტელთა მთავარი ბომბარდირი, მათი ყველაზე აგრესიული თავდამსხმელი კრასნიცკი 3 კალენდარული მატჩით იყო დისკვალიფიცირებული და ეს “შინაური პატიმრობა” მას სწორედ თბილისელებთან შეხვედრისთვის გაუთავდა, თუმცა დანაკლისის შევსება “პახტაკორმა” მთლიანად მაინც ვერ შეძლო, ვინაიდან თამაშის უფლება არ ჰქონდა მეორე მოწინავე თავდამსხმელს _ აბდურაიმოვს (ქუთაისელებთან მატჩში მინდვრიდან გაძევების გამო).

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაში იყო თბილისის “დინამოც”: მას ავადმყოფობის გამო აკლდა მეტრეველი, რომელიც ახლა თავის საუკეთესო საბრძოლო ფორმაშია. ტაშკენტელთა ხელმძღვანელობამ სწორად განსაზღვრა, რომ ასეთ ვითარებაში ლიდერის როლი “დინამოს” შეტევაში დაეკისრებოდა მესხს _ ფლანგური გარღვევების დიდ ოსტატს. და აი, “მესხის პრობლემა” დაეკისრა ახალგაზრდა მარჯვენა მცველს დოცენკოს. მაგრამ ამ კონკრეტული დავალების გარდა არსებობდა სხვა სანეიტრალიზაციო საშუალებაც: დაზღვევა სტოპერების მხრივ. ასეთი კომბინირებული ზომების მეოხებით “პახტაკორმა” შეძლო მესხის იერიშების უვნებელყოფა.

ზუსტად ასევე თამაშობდნენ თბილისელები კრასნიცკის წინააღმდეგ და შესვენებამდე წარმოებული ძალიან დაძაბული ბრძოლა მთავრდებოდა იმით, რომ თავდამსხმელებს არ ეძლეოდათ საშუალება კარის აღებით დაემთავრებინათ თავიანთი გარღვევები.

სახიფათო მომენტებით უფრო მდიდარი იყო მეორე ტაიმი. რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა ურუშაძეს. კერძოდ, თბილისელთა კარი მეტისმეტად საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა მაშინ, როცა გარღვევაზე გავიდა რახმატულაევი, მეკარემ აქაც გამოიჩინა თავი.

მატჩის მიწურულში დინამოელებმა მოულოდნელად ჩართეს “მესამე სისწრაფე” და “პახტაკორის” საჯარიმო მოედანზე ზედიზედ გავიდნენ მათი თავდამსხმელები. ერთ-ერთ ასეთ მომენტში იერიშში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნახევარმცველებმაც. შეტევა დამთავრდა იამანიძის უძლიერესი დარტყმით. გოლი თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ პშენიჩნიკოვმა ბრწყინვალედ ითამაშა და გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა.

მატჩის დამთავრებას სულ ხუთიოდე წუთი აკლდა, მოწინააღმდეგეები კი ისევ გამარჯვებაზე ფიქრობდნენ და ხშირად უტევდნენ. მაინც, გოლის გატანა არ ეწერა არც ერთ გუნდს.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 5 ივლისი, 1967 წ.